

Ուսանող հեռա ՆԵ-ՊՏԱՀԵԿՈ

# ՈՍԴԱՅԱՐՈ ԾՈՅՑՈՂՈՎԱՅՈՈՍ ԱՐՏՈ



არაპერიოდული გამოცემების სერია 21

ისლამური ცივილიზაციის არსი

ისმაილ რაჯი ალ-ფარუკი



International Institute  
of Islamic Thought

გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2023

ისლამური ციფრულიაციის არსი (Georgian)  
ისმაილ რაჯი ალ ფარუკი  
არაპერიოდული გამოცემების სერია 21

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.  
1444ჰ/2023

Paperback ISBN: 978-9941-33-377-4

**The Essence of Islamic Civilization (Georgian)**  
*Ismail Raji Al-Faruqi*  
*Occasional Papers Series 21*

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)  
1434AH/2013CE

Paperback ISBN: 978-1-56564-597-4

IIIT  
P.O. Box 669,  
Herndon, VA, 20172, USA  
[www.iit.org](http://www.iit.org)

ინგლისურიდან თარგმნა: დიანა ცეცხლაძემ  
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე  
ფილოლოგიური რედაქტორი: ნაზი კოჩალიძე  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილის ც.დადიანი №7 ბიზნეს და საბაჭრო ცენტრი ქარვას-  
ლა A-508  
[ikiacademy.org](http://ikiacademy.org)

წიგნი გამოცემულა: „ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი-  
სა“ და „ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტის“ ფინანსური მხარდაჭერით.  
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამოიცალისებისა და შესაბა-  
მისი კოლექტური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან  
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-  
ცემლების წერილობითი წებართვის გარეშე.  
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-  
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური სასახლი №4, თე: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

## წინასიტყვაობა

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი) არაპერიოდული გამოცემის სახით დიდი სიამოვნებით წარმოგებული ისმაილ ალ-ფარუკის „ისლამური ცივილიზაციის ხელოვნება“ პირველად ის იყო გამოქვეყნებული „ისლამის კულტურული ატლასის“ მერვე თავის სახით, ისმაილ ალ-ფარუკისა და ლუის ლამია ალ-ფარუკის ავტორობით და წარმოადგენდა იმ მონუმენტური და ავტორიტეტული ნაშრომის ნაწილს, რომელიც ასახავდა ისლამის მსოფლმხედველობას, მის რწმენას, ტრადიციებს, ინსტიტუციებსა და ადგილს მსოფლიოში. რუკების ილუსტრაციის გარდა, ყველა დანარჩენი სურათი განახლებულია და არ წარმოადგენს ორიგინალს, თუ არ არის მითითებული საწინააღმდეგო. ტექსტში კონკრეტულ თავებზე მითითებისას მათი მოძიება შეიძლება ორიგინალურ ნაშრომში.

პროფესორი ისმაილ რაჯი ალ-ფარუკი (1921-1986) იყო პალესტინელ-ამერიკელი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, ავტორიტეტი შედარებით რელიგიათმცოდნეობაში. დიდი თანამედროვე ისლამმცოდნის განსწავლულობა მოიცავდა ისლამური მეცნიერებების სრულ სპექტრს, ისეთ სფეროებს, როგორიცაა რელიგიათმცოდნეობა, ის-

ლამური აზროვნება, მეცნიერების, ცოდნის, სწავლების მიღებულები, ისტორია, კულტურა, განათლება, ინტერრელიგიური დიალოგი, ესთეტიკა, ეთიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა და მეცნიერება. უდავოდ, ისმაილ ალ-ფარუქი იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმი მეცნიერი. ამ ნაშრომში ის წარუდგენს მსოფლიოს ისლამის მნიშვნელობასა და გზავნილს, მიუთითებს მის არსა და განმსაზღვრელ პრინციპზე – თავჭრდ (ლმერთის ერთობაზე), რომელიც ანიჭებს ისლამურ ცივილიზაციას თავის იდენტობას.

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც 1981 წელს დაარსდა, ხელს უწყობს ისლამურ ხედვაზე, ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებულ სამეცნიერო შრომებს. უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ინსტიტუტის კვლევით პროგრამებს, სემინარებსა და კონფერენციებს შედეგად მოჰყვა ოთხასზე მეტი ინგლისურ და არაბულ ენაზე შესრულებული პუბლიკაცია, რომელთა უმრავლესობა სხვა ენებზეც ითარგმნა“.

**ანას ს. ალ-შაიხ-ალი  
აკადემიური მრჩეველი, იასის ლონდონის ოფისი**

## ისლამური ცივილიზაციის არსები

---

ისლამური ცივილიზაციის არსები, უდავოდ, ისლამი წარმოადგენს. ასევე უდავოა ის, რომ ისლამის არსი თავჭირდ-ში ალლაჰის როგორც ერთადერთი, აბსოლუტური, ტრანსცენდენტული შემოქმედის, უფლისა და ბატონის დადასტურებაში მდგომარეობს.

ეს ორი ძირითადი პოსტულატი ცხადზე ცხადია. მათში არასოდეს შეუტანიათ ეჭვი მათ, ვინც ისლამური ცივილიზაციის ნაწილი არიან ან რაიმე ფორმით ეხებიან მას. ამ ბოლო წლებში მხოლოდ მისიონერებმა, ორიენტალისტებმა და ისლამის სხვა განმმარტებლებმა შეიტანეს ეჭვი ამ დებულებებში. მუსლიმებს, განათლების დონის მიუხედავად, მტკიცედ სჯერათ, რომ ისლამურ ცივილიზაციას გააჩნია არსი და რომ ეს არსი შეცნობადია, ექვემდებარება ანალიზსა და აღწერას და ეს არსია თავჭირდ.<sup>1</sup> ამ თავის მიზანს წარმოადგენს თავჭიდის, როგორც ისლამური ცივილიზაციის არსისა და უპირველესი განმსაზღვრელი პრინციპის ანალიზი.

სწორედ თავჭირდ ანიჭებს ისლამურ ცივილიზაციას იდენტობას, ერთად კრავს თავის შემადგენელ ნაწილებს და შედეგად ქმნის ერთიან, ორგანულ სხეულს, რომელსაც ჩვენ ცივილიზაციას ვუწოდებთ. ცალკეული ელემენტების შერწყმისას ცივილიზაციის არსი – ამ შემთხვევაში თავჭირდ – მათ თავიანთ ყალიბში აქცევს. თავჭირდ ცვლის მათ იმისათვის, რომ ისინი ერთმანეთან ჰარმონიასა და ურთიერთშესაბამისობაში იმყოფე-

ბოდნენ. არსი გარდაქმნის ამ ელემენტებს მათი ბუნების შეცვლის გარეშე, ჰქმნის ცივილიზაციას და აძლევს მათ ახალ ხასიათს, როგორც ცივილიზაციის საფუძველს. სხვადასხვა ელემენტისა და მათი ფუნქციების არსთან შესაბამისობიდან გამომდინარე, გარდაქმნის ხარისხი შეიძლება მერყეობდეს უმნიშვნელოდან ძირეულამდე. ამ შესაბამისობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ცივილიზაციის ფენომენის შემსწავლელი მუსლიმების გონებაში. თავიანთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების უმრავლესობისთვის ისინი სათაურად თავჭრდ-ს ირჩევდნენ სწორედ იმის გამო, რომ ყველა საკითხს თავჭიდის ჭრილში განიხილავდნენ. თავჭიდი განიხილებოდა სხვა დანარჩენი პრინციპის შემცველ და განმსაზღვრელ ფუნდამენტურ პრინციპად. მასში ხედავდნენ ისლამური ცივილიზაციის ყველა ფენომენის განმსაზღვრელ პირველწყაროს.

ტრადიციულად და მარტივად რომ ვთქვათ, თავჭრდ დასტურია იმისა, რომ „არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა ალლაჰისა“. სხვა ღმერთების არსებობის უარყოფის ეს უმოკლესი განაცხადი ატარებს ისლამის უდიდესსა და უმდიდრეს მნიშვნელობას. ზოგჯერ მთელი კულტურა, მთელი ცივილიზაცია ან მთელი ისტორია ერთი წინადადებით არის გამოხატული. ეს უდავოდ ეხება ისლამის ქალიმა-ს (სიტყვა-წარმოთქმას) ან შაჰადა-ს (დამოწმებას). ისლამის მრავალფეროვნება, სიმდიდრე და ისტორია, კულტურა და ცოდნა, სიბრძნე და ცივილიზაცია მოცემულია უმოკლეს წინადადებაში – „ლაილაჰ ილაჰი ილლაჰ ლلჰ“.

## თავჭირდ როგორც მსოფლმხედველობა.

თავჭირდი რეალობის, ჭეშმარიტების, სამყაროს, დროისა და სივრცის, კაცობრიობის ისტორიის ზოგადი ხედვაა. ის მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

### დუალიზმი.

რეალობა ორი ზოგადი სახისაა: ღვთაებრივი და არაღვთაებრივი, შემოქმედი და ქმნილება. პირველ წესრიგს მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს, ალლაპი, აბსოლუტური და ყოვლისშემძლე. მხოლოდ ის არის ღმერთი, მარადიული, შემოქმედი, ტრანსცენდენტული. არაფერია მისი მსგავსი, ის აბსოლუტურად უნიკალურია და მას არ ჰყავს მოზიარები. მეორე – სივრცის, დროის, გამოცდილებისა და ქმნილების წესრიგია. ის მოიცავს ყველა ქმნილებას, საგანს, მცენარეას და ცხოველს, ადამიანებს, ჯინებსა და ანგელოზებს, ზეცასა და დედამიწას, სამოთხესა და ჯოჯოხეთს და ამ ყველაფრის განვითარებას მათი არსებობის დასაწყისიდან, მათი ყოფიერებიდან ან ონტოლოგიდან. არსებობიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, შემოქმედისა და ქმნილების ეს ორი წესრიგი აბსოლუტურად განსხვავებულია. ყოვლად შეუძლებელია ერთი რომელიმეს მეორესთან გაერთიანება ან შერწყმა, ან აღრევა. შეუძლებელია შემოქმედის ონტოლოგიური გარდაქმნა ქმნილებად, ვერც ქმნილება გარდაისახავს და გარდაიქმნის საკუთარ თავს ისე, რომ რაიმე ფორმით შემოქმედი გახდეს.<sup>2</sup>

## წარმოსახვითობა

რეალობის ამ ორ წესრიგს შორის კავშირი თავისი ბუნებით წარმოსახვითია. ადამიანის გონიერაში მისი ათვლის წერტილია ადამიანის გაგება. გაგება, როგორც ცოდნის საცავი, მოიცავს ყველა გნოსეოლოგიურ ფუნქციას: მეხსიერებას, წარმოსახვას, დასაბუთებას, დაკვირვებას, ინტუიციას, წინათგრძნობასა და ა.შ. ყოველ ადამიანს გააჩნია გაგების უნარი. ეს უნარი საკმარისად განვითარებულია იმისათვის, რომ ადამიანმა გაიგოს ღმერთის ნება, როცა ის გამოხატულია უშუალოდ ღმერთის მიერ ადამიანისათვის მიმართული სიტყვებით, ან როდესაც ღვთაებრივი ნება ამოცნობადია შემოქმედების შედეგზე დაკვირვების გზით.<sup>3</sup>

### ტელეოლოგია.

კოსმოსის ბუნებას ტელეოლოგიური, ანუ მიზნობრივი ხასიათი აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის შემოქმედის მიზანს ემსახურება და აკეთებს ამას თავისი დიზაინიდან გამომდინარე. სამყარო არ შექმნილა ტყუილუბრალოდ, გართობის მიზნით.<sup>4</sup> ის არც შემთხვევითობის შედეგია. სამყარო შეიქმნა სრულყოფილ მდგომარეობაში. ყველაფერი, რაც არსებობს, თავისთვის დადგენილ და შესაბამის ფარგლებში იმყოფება და გარკვეულ უნივერსალურ მიზანს ემსახურება.<sup>5</sup> სამყარო „კოსმოსია“, მოწესრიგებული ქმნილებაა და არა – „ქაოსი“. მასში ყოველთვის ხორციელდება ალლაპის ნება. მისი კანონზომიერება ბუნების კანონების აუცილებლობებისგან გა-

მომდინარე ხორციელდება. კანონზომიერება თითოეული საგნის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ადამიანის გარდა, ვერცერთი ქმნილება ვერ არსებობს ან ვერ მოქმედებს ღმერთის მიერ განსაზღვრული გზისგან განსხვავებულად.<sup>6</sup> ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელშიც ღმერთის ნება არა უპირობოდ, არამედ ადამიანის თანხმობით ხორციელდება. ადამიანის ფიზიკური და სულიერი ფუნქციები ბუნების განუყოფელი ნაწილია და როგორც ასეთი, სხვა არსებების მსგავსად, ბუნების შესაბამის კანონებს ემორჩილება. თუმცა სულიერი ფუნქციები, საკუთრივ გაგება და ზნეობრივი საქციელი ბუნების განსაზღვრულობის ფარგლებს მიღმა იმყოფება. ისინი საკუთარ მიზანზე არიან დამოკიდებულნი და მიჰყებიან მას. მათ მიერ ღვთაებრივი ნების შესრულებას ხარისხობრივად სხვა ღირებულება გააჩნია, განსხვავებული სხვა ქმნილებების მიერ ნების უპირობოდ შესრულებისგან. ნების უპირობოდ შესრულება ეხება მხოლოდ ბუნებრივ ან ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს, ღვთის ნების თავისუფალი შესრულება კი ზნეობის საკითხია. თუმცა ღმერთის ზნეობრივი მიზნები და ადამიანისთვის მიცემული აღთქმები ფიზიკური სამყაროს საფუძველს წარმოადგენს და ამგვარად მათაც გააჩნია ფუნქციონალური ასპექტი. მაგრამ მიზნებსა და აღთქმებისთვის დამახასიათებელ განსხვავებულ თვისებას – ზნეობრიობას – მათ სხვა რამ ანიჭებთ. აღთქმების სწორედ ის ასპექტი, რომლის მიხედვითაც მათი შესრულება ნებაყოფლობითია ანუ არსებობს დარღვევის შესაძლებლობაც, ანიჭებს მათ განსაკუთრებულ ღირსებას, რომელსაც ჩვენ მივაწერთ „ზნეობრივ“ საგნებს.<sup>7</sup>


## ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობები და ბუნების მოქნილობა

რადგან ყველაფერი გარკვეული მიზნით შეიქმნა – მათ შორის თავად ყოფიერებაც – ამ მიზნის განხორციელება უნდა ყოფილიყო შესაძლებელი დროსა და სივრცეში.<sup>8</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კინიკოსთა ფილოსოფიისგან თავის დაღწევა, რადგან თავად ქმნილება და დროისა და სივრცის პროცესები დაკარგავდა თავიანთ მნიშვნელობას. ამ შესაძლებლობის გარეშე თაქლით, ანუ ზნეობრივი ვალდებულება საფუძველს კარგავს. შედეგად კი ნადგურდება ღმერთის მიზნობრიობა ან მისი ყოვლისშემძლეობა. ქმნილებაში ღვთაებრივი აზრის განხორციელება უნდა იყოს შესაძლებელი ისტორიულად, დროის თვალსაზრისით, დაწყებული შექმნის დღით და დამთავრებული განკითხვის დღით. შესაბამისად, ზნეობრივი ქმედებების კუთხით, ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეცვალოს საკუთარი თავი, ირგვლივ მყოფები, საზოგადოება, ბუნება ან გარემო, რათა ერთგვარად განახორციელოს ღვთაებრივი გეგმა, როგორც საკუთარ თავში, ასევე სხვებშიც.<sup>9</sup>

როგორც ზნეობრივი ქმედების ობიექტს, ადამიანსა და მის გარემოცვას უნდა შეეძლოს ადამიანი-სუბიექტისგან ქმედების მიღება. ეს შესაძლებლობა ადამიანის, როგორც ქმედების სუბიექტის, ზნეობრივი შესაძლებლობის საპირისპიროა. მის გარეშე ადამიანის მიერ ზნეობრივი ქმედება შეუძლებელი იქნებოდა და სამყაროს მიზნობრივი ბუნება დაირღვეოდა. ასეთ შემთხვევაშიც საქმე გვექნებოდა კინიკოსთა სწავლებასთან. რადგან

ქმნილებას უნდა გააჩნდეს მიზანი – ეს აუცილებელი დაშვებაა იმ შემთხვევაში, თუ ღმერთი ღმერთია და მისი შემოქმედება არ არის უსარგებლო შრომა [travail de singe].

ქმნილება უნდა იყოს მოქნილი, გარდაქმნადი, საკუთარი არსის, სტრუქტურის, პირობებისა და ურთიერთკავშირების ცვლილების შემძლე იმგვარად, რომ განახორციელოს ადამიანისთვის დადგენილი გეგმა თუ მიზანი. ეს ყველა ქმნილებაზე ვრცელდება ისევე, როგორც ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ და სულიერ ბუნებაზე. ყველა ქმნილებას შესწევს უნარი, განახორციელოს ღმერთის ნება ან მიჰყვეს ღვთაებრივ ნიმუშს, რომელიც სრულყოფილია ჩვენს დროსა და სივრცეში.<sup>10</sup>



----- აბრაამის მოგზაურობა

..... აბრაამი, აგარი (ჰაკერი) და ისმაილი გადადიან მექაში

— იაკუბი ჩადის ჰარანში; მისი შვილი იუსუფი არაბების ქარავანს ეგვიპტეში ჩაპყავს

— იაკუბის შვილების ჩასვლა ეგვიპტეში და ჰებრონში დაბრუნება

## პასუხისმგებლობა და განსჯა

თუ ადამიანი ვალდებულია, შეცვალოს საკუთარი თავი, საზოგადოება, გარემო ღვთაებრივი ნიმუშის მიხედვით, თუ მას ეს შეუძლია და ყველაფერი, რაც მისი ქმედების ობიექტს წარმოადგენს, მოქნილია და შესწევს ამ ქმედების მიღების უნარი, რომლითაც თავის დანიშნულებას ახორციელებს, მაშინ გამოდის, რომ ადამიანი ამ ყველაფერზე პასუხისმგებელია.

ზნეობრივი ვალდებულება შეუძლებელია პასუხისმგებლობის აღების ან პასუხისგების გარეშე. თუ ადამიანი არ აგებს პასუხს თავისი საქმეებისთვის, მაშინ კინიკოსთა ფილოსოფია ისევ გარდაუვალია. განსჯა, ანუ პასუხისმგებლობის დასასრული, ზნეობრივი ვალდებულების აუცილებელი პირობაა. ის „ნორმატიულობის“ ბუნებისგან მომდინარეობს.<sup>11</sup> არა აქვს მნიშვნელობა, როდის დგება პასუხისგების მომენტი დროსა და სივრცეში, მის დასასრულს თუ ორივე შემთხვევაში ერთად, მაგრამ ეს მომენტი აუცილებლად უნდა დადგეს. იყო ღმერთის მორჩილი, აცნობიერებდე მის აღთქმებს და მიჰყვებოდე მის ნიმუშს, ნიშნავს, მიაღწიო ფალატ-ს, ანუ წარმატებას, ბედნიერებასა და სიმშვიდეს. ღმერთის დაუმორჩილებლობას კი მივყავართ დასჯამდე, ტანჯვამდე, უბედურებასა და წარუმატებლობის განცდამდე.

მექელები და ებრაელები ნათესავები არიან. ორივენი ერთი წინაპრისგან - აბრაამისგან წარმოიშვნენ, რომელიც ქვემო მესოპოტამიის ქალაქ ურში ცხოვრობდა. აჯანყდა საკუთარი ხალხის კერძთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ და სასწაულებრივად გადაურჩა მათ შურისძიებას, რის შედეგადაც შეუერთდა ამურუს მოხეტიალე ტომს და ქანაანში ჩამოვიდა. მან თავისი უფროსი ძე, ისლამელი ან ისმა'ილი, მექაში დაასახლა, სადაც მათ ქა'აბა ააშენეს და ისმაილმა კურაიშელთა ტომი დაარსა. აბრაამის კიდევ ერთ ძეს, ისა-აკს, და მის შთამომავლობას ასევე სურდათ ქანაანში დასახლება, მაგრამ თითქმის ერთი ათასწლეულის განმავლობაში მათ ეს ვერ მოახერხეს - ისინი ან მის ირგვლივ დაეხეტებოდნენ, ან ეგვიპტეში ჩადიოდნენ. ქანაანში მათი დასახლება მხოლოდ შემდეგ ათასწლეულში მოხერხდა, თუმცა მათ ბრძოლა მოუხდათ ქანაანელებთან ასიმტლაციის წინააღმდეგ და მათგან განცალკევებისთვის. მათ დარჩენას ქანაანში მოჰყვა ერის დაძლა და შემდეგი ორი ათასწლეულის განმავლობაში მთელ მსოფლიოში განხნევა.

## თავჭირდ როგორც ცივილიზაციის არსი

თავჭირდ-ს, როგორც ისლამური ცივილიზაციის არსის, გააჩნია ორი ასპექტი, ანუ ორი განზომილება: მე-თოდოლოგიური და შინაარსობრივი. პირველი განსაზღვრავს ცივილიზაციის საბაზისო პრინციპების გამოყენებისა და განხორციელების ფორმებს; მეორე კი განსაზღვრავს თავად ამ საბაზისო პრინციპებს.

## მეთოდოლოგიური განზომილება

მეთოდოლოგიური განზომილება მოიცავს სამ პრინციპს: საკუთრივ ერთობას, რაციონალიზმსა და ტოლერანტობას. ისინი განსაზღვრავენ ისლამური ცივილიზაციის ფორმას, რომელიც მის ყოველ ასპექტში შეიმჩნევა.

ერთობაა. ერთობის გარეშე ცივილიზაცია წარმოუდგენელია. თუ ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილები არ არიან ერთიანი, ერთმანეთში გადაწნული და ჰარმო-



ნიზებული, ისინი არა ცივილიზაციას, არამედ უწესრიგო კონგლომერატს წარმოადგენენ, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც აერთიანებს ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილებს ან ელემენტებს საერთო ჩარჩოს ფარგლებში. სწორედ ეს პრინციპი აწესრიგებს ნაწილებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს მოწესრიგებული სტრუქტურის სახით, რომელშიც გამოყოფილია მნიშვნელობის ხარისხები და უპირატესობის დონეები. ისლამური ცივილიზაცია ელემენტებისგან ქმნის მოწესრიგებულ სტრუქტურას და წარმართავს მათ არსებობასა და ურთიერთკავშირს ერთიანი ნიმუშის მიხედვით. თავად ეს ელემენტები შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური წარმოშობის. პრაქტიკულად არ არსებობს ცივილიზაცია, რომელსაც არ შეუთვისებია მისთვის უცხო ელემენტები. მნიშვნელოვანია, რომ ცივილიზაცია შთანთქავს ასეთ ელემენტებს, გარდაქმნის მათ ფორმასა და ურთიერთკავშირს და ამგვარად ახდენს მათ ინტეგრირებას საკუთარ სისტემაში. მათთვის საკუთარი ფორმის მინიჭება, ფაქტობრივად, მათ ახალ რეალობაში გადანაცვლებას გულისხმობს იქ, სადაც ისინი არსებობენ არა დამოუკიდებლად, პირვანდელი სახით, არამედ როგორც იმ ახალი ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილები, რომელშიც მოხდა მათი ინტეგრირება.

ნებისმიერი ცივილიზაცია ითვისებს უცხოურ ელემენტებს და ეს არის მისთვის საზიანო. გამანადგურებელია მისთვის ასეთი ელემენტების უწესრიგოდ და-

მატება გარდაქმნის ან ინტეგრირების გარეშე. ასეთ შემთხვევაში უცხო ელემენტები უბრალოდ თანაარსებობენ ცივილიზაციასთან, მაგრამ ორგანულად მას არ ეკუთვნიან. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ცივილიზაციამ შეძლო მათი გარდაქმნა და საკუთარ სისტემაში ინტეგრირება, ინტეგრირების პროცესი მისი სიცოცხლისუნარიანობის, დინამიურობისა და შემოქმედებითობის მაჩვენებლად იქცევა. ნებისმიერ ერთიან ცივილიზაციაში, მათ შორის ისლამში, შემადგენელი ნაწილები: -მატერიალური, სტრუქტურული თუ ურთიერთობითი – ერთი უზენაესი პრინციპითაა შეკრული. ისლამურ ცივილიზაციაში ასეთი პრინციპია თავჭრდ. ის მუსლიმთა მთავარი საზომია, მათი წინამძღვროლი და შეფასების კრიტერიუმია სხვა რელიგიებსა და ცივილიზაციებთან, ახალ ფაქტებთან და სიტუაციებთან გადაკვეთის დროს. ის, რაც მას შეესაბამება, მიიღება და ინტეგრირდება, რაც არ შეესაბამება – უარიყოფება და იგმობა.

თავჭრდ ანუ სწავლება ღმერთის აბსოლუტური ერთადერთობის, ტრანსცენდენტობისა და უზენაესობის შესახებ, გულისხმობს, რომ მხოლოდ ის არის თაყვანის-ცემისა და მსახურების ლირი. ღმერთის მორჩილი ადამიანი ცხოვრობს ამ პრინციპის მიხედვით. ის ცდილობს, ყველა თავისი ქმედება მიუსადაგოს ღვთაებრივ ნიმუშს, განახორციელოს ღვთაებრივი მიზანი. ამდენად, მისი ცხოვრება უნდა წარმოადგენდეს გონებისა და ნების ერთობის მაგალითს, მისი მსახურების ერთადერთ ობიექტს. მისი ცხოვრება ცალკეული მოვლენების უწესრიგო ნაკრები კი არ იქნება, არამედ ერთადერთი უზენაესი პრინციპით წარმართული, საერთო ჩარჩოთი შემოსაზ-



ყურანი

ღვრული ერთი მთლიანობა. შესაბამისად, მორჩილ ადამიანს გააჩნია ცხოვრების ერთი სტილი, ფორმა, – ანუ ისლამი.

**რაციონალიზმი.** როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი, რაციონალიზმი ისლამური ცი-

ვილიზაციის არსის შემადგენელი ნაწილია. ის სამი წესისგან, ანუ კანონისგან შედგება: პირველი – ყველაფრის უარყოფა, რაც რეალობას არ შეესაბამება; მეორე – უარის თქმა მნიშვნელოვან შეუსაბამობებზე; მესამე – გახსნილობა ახალი და/ან საწინააღმდეგო მტკიცებულებების მიმართ. პირველი წესი იცავს მუსლიმებს არსებული ცოდნის მიმართ დაუსაბუთებელი, შეუმოწმებელი განაცხადების გაკეთებისა და აზრის გამოთქმისგან. ყურანის მიხედვით, დაუსაბუთებელი განაცხადი ზანნ-ს ანუ შეცდომაში შემყვან ცოდნას წარმოადგენს და რამდენად უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ის, ღმერთის მიერ იკრძალება,<sup>12</sup> რადგან „მუსლიმი“ განიმარტება როგორც ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტების გარდა არაფერს ღალადებს. მეორე წესი იცავს მას, ერთი მხრივ, მარტივი წინააღმდეგობისგან, ხოლო, მეორე მხრივ, – პარადოქსისგან.<sup>13</sup>

რაციონალიზმი ნიშნავს არა გონების უპირატესობას ღვთიური გამოცხადების მიმართ, არამედ მათ შორის მკაცრი დაპირისპირების არსებობის უარყოფას<sup>14</sup>.

რაციონალიზმის შესწავლის საგანს ურთიერთსაწინა-  
აღმდეგო თეზისები წარმოადგენს. ამ პროცესში ხდება  
დაშვება იმისა, რომ  
უნდა არსებობდეს ას-  
პექტი, რომელიც არ-  
ასოდეს განხილულა  
და მისი მხედველობა-  
ში მიღებით წინააღ-  
მდეგობრივი კავშირე-  
ბი გამოვლინდება.  
ანალოგიურად, რაცი-  
ონალიზმს მიჰყავს  
გამოცხადების მკით-  
ხველი, და არა თავად  
გამოცხადება, მის ხე-  
ლმეორედ წაკითხვამ-



მოციქულის მეჩეთი მედინაში


დე, რათა მან შეძლოს გაუგებარი აზრისგან თავის დაღწე-  
ვა, გამოცხადების ხელმეორედ განხილვა აქარწყლებს აშ-  
კარა წინააღმდეგობას. გონების ან გაგების ამგვარ გამო-  
ყენებას შედეგად მოჰყვება ჰარმონიზება არა გამოცხადე-  
ბის, როგორც ასეთი – გამოცხადება ადამიანის ყოველ-  
გვარ მანიპულირებაზე მაღლა დგას – არამედ მუსლიმი  
ადამიანის მიერ გამოცხადების ინტერპრეტაციის ან გაგე-  
ბის. გამოცხადების გაგების შეთანხმება ხდება გონების  
მიერ გამოაშკარავებულ მტკიცებულებასთან. წინააღმდე-  
გობრივის ან პარადოქსულის – როგორც უპირობოდ სწო-  
რის – მიმღებლობა მხოლოდ სუსტი გონებისთვის არის  
დამახასიათებელი. განათლებული მუსლიმი რაციონალური  
პიროვნებაა, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია ჭეშმარიტე-

ბის ორივე წყაროს, სახელდობრ, გამოცხადებისა და გონიერის ერთობა.

მესამე წესი, ახალი ან წინააღმდეგობრივი მტკიცებულების მიმართ ლიაობა, იცავს მუსლიმს ლიტერალიზმისგან, ფანატიზმისგან და სტაგნაციის გამომწვევი კონსერვატიზმისგან.

ეს წესი უბიძგებს მუსლიმს ინტელექტუალური მორჩილებისკენ და აიძულებს თავის ყოველ დასტურსა თუ უარყოფას თან დაურთოს ფრაზა: „ალლაჰ ა‘ლამ“ (ალლაჰმა უკეთესად იცის!), რადგან ის დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტება თავისი ათვისების უნარზე უფრო დიდია.

თავჭირდ ღმერთის აბსოლუტური ერთობის განაცხადთან ერთად ჭეშმარიტების ერთობის განაცხადსაც წარმოადგენს, რადგან ღმერთი ისლამში არის ჭეშმარიტება. მისი ერთობა ჭეშმარიტების წყაროების ერთობაა. ღმერთი იმ ბუნების შემოქმედია, რომლიდანაც ადამიანი თავის ცოდნას იძენს. ცოდნის ობიექტს ღმერთის მიერ შექმნილი ბუნების ნიმუშები წარმოადგენს. ცხადია, ღმერთი იცნობს მათ, რადგან ის მათი ავტორია, ასევე ნათელია, რომ ის არის გამოცხადების წყარო. ღმერთი აძლევს ადამიანს საკუთარ ცოდნას, მისი ცოდნა კი აბსოლუტური და უნივერსალურია. ღმერთი არაა მატყუარა, არც ბოროტი აგენტია, რომლის მიზანია ვინმეს შეცდომაში შეყვანა. ღმერთი არც თავის მართლმსაჯულებას ცვლის, როგორც ამას აკეთებენ ადამიანები, რომლებიც აკორექტირებენ თავიანთ ცოდნას, ნებას ან გადაწყვეტილებას. ღმერთი სრულყოფილი და ყოვლისმცოდნეა. ის არ უშვებს შეცდომებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ იქნებოდა ისლამის ტრანსცენდენტული ღმერთი.



ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში არაბულმა სამყარო იხილა ხუთი მსოფლიო იმპერიის აღზევება და დაცემა: ასურეთის, ახალი ბაბილონის, სპარსეთის, ელინისტურის და რომის. თორმეტი სახელმწიფოსგან არცერთს არ გააჩნდა მისიონერული სულისკვეთება.


ტოლერანტობა. როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი, ტოლერანტობა გულისხმობს მოცემულობის მიღებას მანამ, სანამ მისი სიყალბე არ დადასტურდება, რაც ეპისტემოლოგიისთვის არის რელევანტური. ამავ-დროულად ეს პრინციპი რელევანტურია ეთიკისთვისაც – სასურველის მიმღებლობა ვიდრე არ დამტკიცდება მი-სი არასასურველობა.<sup>15</sup> პირველს სა'აჲ ეწოდება, მეორეს კი – ჯუსრ. ორივე იცავს მუსლიმს სამყაროსგან გაქცე-ვისას, მომაკვდინებელი კონსერვატიზმისგან. ორივე წაა-ქეზებს მუსლიმს, ირწმუნოს და უთხრას – დიახ – სი-ცოცხლეს, ახალ გამოცდილებას. ორივე მოუწოდებს მას, გადახედოს ახალ მონაცემებს თავისი გამჭრიახი გონებით, კონსტრუქციული მცდელობით და ამ გზით გაიმდიდროს გამოცდილება და ცხოვრება, ნინ წასწიოს საკუთარი კულტურა და ცივილიზაცია.

ისლამური ცივილიზაციის არსის ფარგლებში ტო-ლერანტობა, როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი, არის დარწმუნება იმისა, რომ ღმერთს არ დაუტოვებია ადამიანი შუამავლების გარეშე, რომლებიც ასწავლიან მას, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა და თაყვანი მას უნდა სცენ და ემსახურონ, <sup>16</sup> განერიდონ ბოროტებასა და მის გამომწვევ მიზეზებს.<sup>17</sup>

ამ თვალსაზრისით ტოლერანტობა არის აღიარება იმისა, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია *sensus communis* (სალი აზრი), რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია ჭეშმა-რიტი რელიგიის შეცნობა, ღმერთის ნებისა და მისი ალ-თქმების გაგება. ტოლერანტობა არის დარწმუნება იმა-ში, რომ რელიგიების მრავალფეროვნება გამოწვეულია ისტორიით და მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორით,

სივრცისა და დროის განსხვავებული პირობებით, ცრუ-  
რნმენებით, ვნებებითა და კერძო ინტერესებით. რელი-  
გიების მრავალფეროვნების უკან დგას ად-დინ ალ-  
ჭანი, ღმერთის რწმენა, რომლითაც ყოველი ადამიანი  
იბადება მანამ, ვიდრე აკულტურაციის შედეგად ის არ  
გახდება რომელიმე კულტურის მიმდევარი. ტოლერან-  
ტობა ითხოვს მუსლიმისგან, შეისწავლოს რელიგიების  
ისტორია, რათა აღმოჩინოს თითოეულ მათგანში ღმერ-  
თის პირველყოფილი ძლვენი, რომლიც ღმერთმა გაუგ-  
ზავნა ყველა თავის შუამავალს, ყველგან და ყოველთვის  
სასწავლებლად.<sup>18</sup>

რელიგიაში – ადამიანური ურთიერთობებისთვის კი  
ამაზე მნიშვნელოვანი ვერაფერი იქნება – ტოლერანტო-  
ბა რელიგიებს შორის არსებულ კონფრონტაციასა და  
ურთიერთდადანაშაულებას გარდაქმნის სამყაროს შექ-  
მნისა და რელიგიების განვითარების თანამშრომლობით  
სამეცნიერო კვლევად, რომლის მიზანია გამოცხადებით  
მოცემულის განსხვავება ისტორიული დამატებებისგან.



ქა'აბა მექაში

ეთიკაში, ძალიან  
მნიშვნელოვან სფე-  
როში, ღუსრ იცავს  
მუსლიმს სიცოც-  
ხლის უარმყოფელი  
ტენდენციებისგან და  
აძლევს მას ოპტი-  
მიზმის იმ მინიმა-  
ლურ მოცულობას,  
რომელიც აუცილე-  
ბელია ჯანმრთელო-

ბის, ბალანსის, ზომიერების გრძნობის შესანარჩუნებლად, ყველა იმ ტრაგედიისა და ავადმყოფობის მიუხედავად, რომლებიც ადამიანებს ხვდება წილად.

ღმერთი არწმუნებს თავის ქმნილებებს, რომ „უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება [იუსრა].”<sup>19</sup> და რადგან ღმერთმა უბრძანა მათ ყოველი ამბის ყურადღებით გამოკვლევა განაჩენის გამოტანამდე,<sup>20</sup> უსულდებუნ (იურისპრუდენციის დოქტორები) კარგისა და ცუდის განსჯამდე მიმართავენ ექსპერიმენტის გზას, რომელიც არ ეწინააღმდეგება მკაფიო ღვთაებრივ მითითებას.

ორივე: სა’აჳ და ღუსრ უშუალოდ თავჭირდ-იდან არის გადმოღებული, როგორც ეთიკის მეტაფიზიკის პრინციპები. ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა მას საქმე-ებით შეძლებოდა დამტკიცება, რომ ის ამას იმსახურებდა. ადამიანი შეიქმნა თავისუფალ არსებად სამყაროში სიკეთის კეთების უნარით. ისლამი ამტკიცებს, რომ ეს ადამიანის ყოფიერების არსია.<sup>21</sup>


### **შინაარსობრივი განზომილება**

**თავჭირდ, როგორც მეტაფიზიკის პირველი პრინციპი.** დაამოწმო ის, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა ალლაჰისა, ნიშნავს, ამტკიცებდე, რომ მხოლოდ ალლაჰია შემოქმედი და ყველაფრისთვის სიცოცხლის მიმცემი, რომ ის არის ყველაფრის დასაბამი და დასასრული, ის პირველია და უკანასკნელი.

ამის თავისუფალი და დამაჯერებელი დამოწმება, შინაარსის გაცნობიერება ნიშნავს გააზრებას იმისას, რომ ყველაფრი, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს – ბუნებრივ, სოციალურ თუ ფიზიკურ სფეროში, არის ღმერ-

თის ქმედება, მისი ამა თუ იმ მიზნის განხორციელება. მსგავსი გააზრება ადამიანის მეორე, მისგან განუყოფელ ბუნებად იქცევა. ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. როდესაც ადამიანი ცნობს ღმერთის აღთქმასა და ქმედებას ყოველ ობიექტსა თუ მოვლენაში, ის მიჰყება ღვთაებრივი ინიციატივას სწორედ იმიტომ, რომ ის ღმერთისგან მომდინარეობს. ბუნებაში ამაზე დაკვირვება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგანია,<sup>22</sup> რადგან ღვთაებრივი ინიციატივა ბუნების მიმართ სხვა არაფერია, თუ არა უცვლელი წესი, რომელიც ღმერთმა ბუნებას დაუდგინა.<sup>23</sup> ადამიანსა და საზოგადოებაში ღვთაებრივი ინიციატივის დანახვა შესაძლებელია ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების შესწავლის გზით.<sup>24</sup> და თუ მთელი სამყარო ბუნების ამ კანონების აღმოჩენას ან შესრულებას წარმოადგენს, რომლებიც, თავის მხრივ, ღმერთის აღთქმებისა და მისი ნების გამოხატვაა, მაშინ მუსლიმისთვის სამყარო წარმოადგენს თეატრს, რომელიც მოძრაობაში ღმერთის ბრძანებას მოჰყავს. ამგვარად ხდება ახსნა სამყაროსი და ყველაფრისა, რომელსაც ის მოიცავს.

ღმერთის ერთობა ნიშნავს, რომ მხოლოდ ის არის ყველაფრის მიზეზი და არავინ სხვა. შესაბამისად, თავ-პიდი უარყოფს ბუნებაში ნებისმიერი სხვა მოქმედი ძალის არსებობას გარდა ღმერთისა, რომლის მარადიული ინიციატივა ბუნების უცვლელ კანონს წარმოადგენს, რაც ამავდროულად ბუნებაში ბუნებრივი ძალების გარდა სხვა ყველა ძალის, როგორებიცაა: მაგრა, ჯადოქრობა, სულები და ნებისმიერი სხვა, ბუნებაში მისტიური ჩარევის უარყოფის ტოლფასია. შესაბამისად, თავჭრდ



ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები

უარყოფს ბუნების ძალების სეკულარიზაციას, ეს კი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უპირველესი პირობაა. თავჭირდ-ის მეშვეობით ბუნება გამოეყო პრიმიტიული რელიგიის ღმერთებსა და სულებს. პირველად სწორედ თავჭირდ-მა გახადა შესაძლებელი რელიგიურ-მითოეპური აზროვნების გაძლიერება, საბუნებისმეტყველო და ცივილიზაციის შემსწავლელი მეცნიერებების განვითარება იმ რელიგიური მსოფლმხედველობით, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უარყო ბუნებასთან რაიმე საკრალურის ასოციაცია. თავჭირდ ცრურწმენის, ანუ მითის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ცივილიზაციის მტრების წინააღმდეგია.

თავჰიდი თავს უყრის ყველა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და ხსნის მათ ღმერთით და არა ოკულტური ძალებით. მიზეზ-შედეგობრივი ძალა, რომელსაც ნებისმიერი მოვლენა თუ იბიექტი ექვემდებარება, იმგვარად არის ორგანიზებული, რომ შექმნას უწყვეტი ჯაჭვი, რომლის რგოლები კაუზალურად და, შესაბამისად, ემპირიულად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამ ჯაჭვის ღმერთთან უშუალო კავშირი მოითხოვს იმას, რომ მის გარეთ არსებული სხვა რომელიმე ძალა არ უშლიდეს ხელს მის მიზეზობრიობასა და შედეგიანობას. თავის მხრივ, ეს გულისხმობს შემადგენელ რგოლებს შორის მიზეზობრივი კავშირების არსებობას და მათ ემპირიული კვლევისა და დადგენის საგნად აქცევს. ის, რომ ბუნების კანონები ღმერთის მიერ დადგენილი სტანდარტია, ნიშნავს, რომ ღმერთი მართავს ბუნებას მიზეზების მეშვეობით.

მხოლოდ ერთი მიზეზით გამოწვეული მიზეზობრიობა, რომელიც მუდამ იმავედ რჩება, ქმნის წესს. სწორედ მიზეზობრიობის ეს მუდმივობა შესაძლებელს ხდის მასზე დაკვირვებასა და აღმოჩენებს და, შესაბამისად, მეცნიერებას. მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა მსგავსი განმეორებადი მიზეზობრიობების ძიება ბუნებაში, რადგან მიზეზობრივი ჯაჭვის შემადგენელი კავშირები სხვა ჯაჭვებშიც მეორდება. მათი განსაზღვრა ბუნების კანონების განსაზღვრას ნიშნავს. ეს ბუნების მიზეზობრივი ძალების კონტროლისა და გამოყენებისთვის აუცილებელი წინაპირობაა, ადამიანის მიერ ბუნების უზუფრუუქტის აუცილებელი პირობაა.

**თავჭირდ როგორც ეთიკის პირველი პრინციპი,** თავჭირდი აცხადებს, რომ ერთადერთმა ღმერთმა შექმნა ადამიანი სრულყოფილი ფორმით, რათა მას ღმერთისთვის ბოლომდე ემსახურა და თაყვანი ეცა.<sup>25</sup> ეს ნიშნავს, რომ ადამიანის ამქვეყნიური არსებობის მიზანია ღმერთის მორჩილება, მისი ბრძანებების შესრულება. თავჭირდ ასევე აცხადებს, რომ ეს მიზანი მდგომარეობს შემდეგში – ადამიანი ღმერთის ნაცვალია დედამიწაზე.<sup>26</sup> ყურანის მიხედვით, ღმერთმა ადამიანს შესთავაზა იმ პასუხისმგებლობის აღება, რომლის აღებაზეც უარი თქვეს ცამდა დედამიწამ და რომელსაც შიშით განერიდნენ.<sup>27</sup> ღვთაებრივი პასუხისმგებლობა ღვთაებრივი ნების ეთიკური ნაწილის განხორციელებაა. მისი ბუნება ითხოვს თავის თავისუფლებაში განხორციელებას, ამის გაკეთება კი მხოლოდ ერთადერთ ქმნილებას – ადამიანს შეუძლია.

სადაც ღვთაებრივი ნება ბუნების კანონის აუცილებლობისგან გამომდინარე ხორციელდება, მისი შესრულება არა ზნეობრივი, არამედ ელემენტარული, ანუ გამოყენებითი ხასიათისაა. მხოლოდ ადამიანს შეუძლია მისი შესრულების ან არშესრულების გადაწყვეტილების მიღება, ან სულაც საპირისპიროს გაკეთება. ღმერთის მცნებებისადმი ადამიანის მორჩილების ეს თავისუფლება ხდის აღთქმების შესრულებას ზნეობრივს.

თავჭირდ აცხადებს, რომ მოწყალე ღმერთს, რომელსაც ღვთაებრივი მიზანი გააჩნია, ადამიანი ტყუილუბრალოდ არ შეუქმნია. მან აღჭურვა ადამიანი გრძნობებით, გონებითა და გაგებით, გახადა ის სრულყოფილი – მასში საკუთარი სული ჩაპბერა<sup>28</sup> იმისათვის, რომ მოემზადებინა ადამიანი მაღალი დანიშნულების შესასრულებლად.

სწორედ მისი ეს დანიშნულება ადამიანის შექმნის მიზეზს წარმოადგენს. ეს კაცობრიობის არსებობის საბოლოო დასასრულია, ადამიანის განსაზღვრება და მისი მიწიერი ცხოვრების არსი. მისი მეშვეობით ადამიანი უდიდესი მნიშვნელობის კოსმოსურ ფუნქციას იღებს თავზე. კოსმოსი ვერ იქნებოდა ის, რაც არის ღვთაებრივი ნების ამ უმაღლესი ნაწილის გარეშე, რომელიც ადამიანის ზნეობრივი ძალისხმევის ობიექტს წარმოადგენს. ამ სამყაროში ვერცერთი სხვა არსება ვერ ჩაანაცვლებს ადამიანს თავისი დანიშნულების შესრულებაში. ადამიანი ერთადერთი კოსმოსური ხიდია, რომლითაც ზნეობა და, შესაბამისად, ღვთაებრივი ნების უმაღლესი ნაწილი – შეიძლება მოხვდეს დროსა და სივრცეში და ისტორიად იქცეს.

ადამიანზე დაკისრებული პასუხისმგებლობა ან ვალდებულება (თაქლიტ) უსაზღვროა. ის მთელ სამყაროს სწვდება. მთელი კაცობრიობა ადამიანის ზნეობრივი ქმედების ობიექტია, მთელი დედამიწა და ზეცა მისი თეატრია, მისი ქმნილება-შემოქმედებაა. ის ყველაფერზეა პასუხისმგებელი, რაც სამყაროში ხდება, თუნდაც მის ყველაზე უკიდურეს კუნჭულში. ადამიანის თაქლიტ, ანუ ვალდებულება უნივერსალურია, კოსმოსურია. ის მხოლოდ განკითხვის დღეს დასრულდება. ისლამის განცხადებით, თაქლიტ ადამიანობის, მისი მნიშვნელობისა და შინაარსის საფუძველია. ადამიანის მიერ საკუთარი ტვირთის მიმღებლობას აჰყავს ის უფრო მაღალ დონეზე სხვა ქმნილებებთან შედარებით, ანგელოზებთან შედარებითაც კი, რადგან მხოლოდ მას შესწევს პასუხისმგებ-

ლობის აღების უნარი, რომელიც მის კოსმოსურ მნიშვნელობას შეადგენს.

ისლამის ჰუმანიზმი ძალიან განსხვავდება სხვა ცივილიზაციების ჰუმანიზმისგან. მაგალითად, ბერძნულ ცივილიზაციაში ჩამოყალიბდა ჰუმანიზმის მოდელი, რომელიც რენესანსის შემდეგ დასავლეთმა გადმოიღო. გადაჭარბებულ ნატურალიზმზე დაფუძნებულმა ბერძნულმა ჰუმანიზმმა გააღმერთა ადამიანი და მისი უზნეობა. ამიტომაც ბერძნებისთვის მისაღები იყო რეალობა, რომელშიც მათი ღვთაებები იტყუებოდნენ, აწყობდნენ შეთქმულებებს ერთმანეთის წინააღმდეგ, სჩადიოდნენ მრუშობას, ქურდობას, სისხლის აღრევას, აგრესიას, ეჭვიანობას, შურისძიებასა და სხვა სიავეებს. ასეთი ქმედებები და ვნებები წარმოადგენდა ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს და ღირსებებთან ერთად სრულიად ბუნებრივად მიიჩნეოდა. ბუნებასთან ერთად ისინი თანაბრად ღვთაებრივად მიიჩნეოდა, ესთეტიკური ფორმით გადმოცემის, თაყვანისცემისა და ადამიანის მხრიდან მიპარვის ღირსი. ადამიანისთვის ღმერთები აპოთეოზს წარმოადგენდნენ. ქრისტიანობა, რომელიც თავისი ჩამოყალიბების წლებში ასევე რეაგირებდა ბერძნულ-რომაულ ჰუმანიზმზე, მეორე უკიდურესობაში ჩავარდა – მან დააკნინა ადამიანი „პირველშობილი ცოდვის“ მეშვეობით და გამოაცხადა ის „დაცემულ არსებად“ – “massa peccata.”<sup>29</sup>

ადამიანის დაყვანა აბსოლუტური, საყოველთაო, თანდაყოლილი და გარდაუვალი ცოდვის მდგომარეობამდე, რომლისგანაც ადამიანისთვის შეუძლებელია საკუთარი ძალისხმევით გამოღწევა, ლოგიკური წინაპირობაა

იმ შემთხვევისთვის, თუ ზეციური ღმერთი განხორციელდა იმისათვის, რომ ადამიანი გამოეხსნა ცოდვისგან. სხვა სიტყვებით, თუ გამოხსნა ღმერთს უნდა განეხორციელებინა, მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ ღმერთს შე-

უძლია ადამიანის ცოდვისგან თავის დაღწევა. ამგვარად, ადამიანის ცოდვილობა იყო აბსოლუტიზირებული იმისათვის, რომ ის „ღირსი გამხდარიყო“ ღმერთის ჯვარცმისა. ინდუიზმია კაცობრიობა დაპყო კასტებად და ადამიანების უმრავლესობა მიაკუთვნა ყველაზე დაბალ კლასს. ინდოელების შემთხვევაში ეს „მიუკარებელთა“ კასტაა, სამყაროს დანარჩენი ნაწილის შემთხვევაში კი – malicha, რელიგიურად უნმინდური ადამიანები. ამ ცხოვრებაში ვერც დაბალი კასტის და ვერც სხვა კასტის წარმომადგენლებისთვის ვერ ხდება ბრაჟმინების პრივილიგირებულ კასტამდე ამაღლება. ასეთი მობილობა შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილის შემდეგ სულის რეინკარნაციის მეშვეობით. ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანი ეკუთვნის მხოლოდ იმ კასტას, რომელშიც დაიბადა. ეთიკური სწრაფვა უშედეგობის მისი საგნისგან დამოუკიდებლად, რადგან ის ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრობს. და ბოლოს, ბუდიზმი



სარქისებური სიმეტრიული დიზაინის მქონე ბასმალა – ლ. ალ-ფარუკის სურათი

ლი კასტის და ვერც სხვა კასტის წარმომადგენლებისთვის ვერ ხდება ბრაჟმინების პრივილიგირებულ კასტამდე ამაღლება. ასეთი მობილობა შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილის შემდეგ სულის რეინკარნაციის მეშვეობით. ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანი ეკუთვნის მხოლოდ იმ კასტას, რომელშიც დაიბადა. ეთიკური სწრაფვა უშედეგობის მისი საგნისგან დამოუკიდებლად, რადგან ის ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრობს. და ბოლოს, ბუდიზმი

განიხილავს ადამიანისა და სხვა ქმნილებების ცხოვრებას როგორც უსასრულო ტანჯვასა და უბედურებას. ის ამტკიცებს, რომ თავად არსებობა ბოროტებაა და ადამიანის ერთადერთი ღირებული მოვალეობაა, ეძიებდეს მისგან ხსნას დისციპლინისა და გონებრივი ვარჯიშის გზით. მხოლოდ თავპიდის ჰუმანიზმია ჭეშმარიტი. მხოლოდ ის სცემს პატივს ადამიანს, როგორც ადამიანს და ქმნილებას, ყოველგვარი შემდგომი გაღმერთების ან დამცირების გარეშე. მხოლოდ ის განსაზღვრავს ადამიანის ღირსებას თავისი სათნოებიდან გამომდინარე და აფასებს ადამიანს იმ დადებითი ნიშნით, რომელიც ღმერთისგან აქვს ბოძებული თავისი კეთილშობილური ამოცანის შესასრულებლად. მხოლოდ ის განსაზღვრავს ადამიანური ცხოვრების სათნოებებსა და იდეალებს ბუნებრივი ცხოვრების შინაარსის გათვალისწინებით და არა მისი უარყოფით, რითაც ჰუმანიზმს სიცოცხლის მიმღებლად და ზნეობრივად აქცევს.


**თავჭრდ როგორც აქსიოლოგიის პირველი პრინციპი:** თავჭრდ აცხადებს, რომ ღმერთმა შექმნა კაცობრიობა, რათა ადამიანებს შეძლებოდათ თავიანთი მორალური ფასულობები საქმით დაემტკიცებინათ.<sup>30</sup> როგორც მთავარმა მსაჯულმა, მან გააფრთხილა ადამიანები, რომ მათი ყველა საქმე იქნებოდა აღრიცხული,<sup>31</sup> რომ ისინი დაჯილდოვდებიან კეთილი საქმეებისთვის, ხოლო დაისჯებიან – ბოროტებისთვის.<sup>32</sup> თავჭრდ ასევე აცხადებს, რომ ღმერთმა ადამიანს მისცა დედამინა, რათა ის მასზე დაბინავებულიყო,<sup>33</sup> ეცხოვრა დამოუკიდებლად, ეჭამა მისი ნაყოფი, დამტკბარიყო მისი სილამაზითა და სიკეთეებით

და აეყვავებინა ის.<sup>34</sup> ეს სამყაროს დადებითი ბუნების აღიარებაა — ეს ნიშნავს, მიიღო სამყარო იმიტომ, რომ ის უბინო და კეთილია, შექმნილია ღმერთის მიერ და იმართება მისგან ადამიანის საკეთილდღეოდ. ფაქტობრივად, ყველაფერი, მზისა და მთვარის ჩათვლით, ადამიანისთვის სარგებლის მომტანია. ყველაფერი, რაც შეიქმნა — თეატრია, რომელშიც ადამიანი თავის ეთიკურ როლს, ღვთაებრივი ნების უმაღლეს ნაწილს ასრულებს. ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარი ინსტინქტებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ყოველი ინდივიდი ასევე პასუხისმგებელია სხვა ადამიანებზეც. ადამიანი ვალდებულია, განავითაროს ყველა სხვა ადამიანის რესურსი შეძლების უმაღლეს დონემდე იმისათვის, რომ მათი თანდაყოლილი ნიჭისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება გახდეს შესაძლებელი. ის ვალდებულია, მთელი დედამიწა გარდაქმნას ნაყოფიერ წალკოტად და ულამაზეს ბალად. ამ პროცესში მას მზისა და მთვარის შესწავლა შეუძლია, თუ ამის აუცილებლობა დადგება.<sup>35</sup> რასაკვირველია, მან უნდა აღმოაჩინოს და შეისწავლოს ბუნება, ადამიანის სული, საზოგადოება. ცხადია, ის მოვალეა, მიჰყოს ხელი სამეწარმეო საქმიანობას და განავითაროს მსოფლიო, რომელიც ბოლოს და ბოლოს უნდა იქცეს ბალებს, რომელშიც უფლის სიტყვაა უპირატესი.

სამყაროს ასეთი დადებითი ბუნება მართლაც ქმნის ცივილიზაციას. ის ისევე აყალიბებს იმ ელემენტებს, რომელთაგანაც დგება ცივილიზაციები, როგორც მათი ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელ სოციალურ ძალებს. თავპირ ენინააღმდეგება მონაზვნობას, იზოლაციას, სამყაროს უარყოფას, ასკეტიზმს.<sup>36</sup> მეორე მხრივ,

სამყაროს დადებითი ბუნების აღიარება არ ნიშნავს სამყაროსა და ბუნების უპირობოდ მიღებას ისეთად, როგორებიც ისინი არის. ადამიანის რეალიზაციის შედეგების შემოწმების პრინციპის გარეშე, სამყაროსა და ბუნების ლირებულების აღიარება, შესაძლოა, საკუთარ თავსაც შეწინააღმდეგოს რომელიმე ერთი ლირებულების, ელემენტის, ძალის ან მათი ჯგუფის გადაჭარბებული აქცენტითა და სხვების უგულებელყოფით.

ადამიანის მისწრაფებების დაბალანსება და მოწეს-რიგება იმგვარად, რომ ის შედეგად ყველა ღირებულების პარმონიულ რეალიზაციაში გამოვლინდეს პრიორიტეტების შესაბამისი სისტემისა და არა ადამიანის სიძულვილის, ვნების, გაუმართლებელი გულმოდგინების ან ადამიანის სიბრმავის ფარგლებში, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. მის გარეშე მსგავს მისწრაფებებს ადამიანი




ალექსანდრე მაკედონელის იმპერია

ტრაგედიამდე ან ზედაპირულობამდე მიჰყავს, ან უარესიც – შეიძლება ჭეშმარიტად დემონური ძალის გამოთავისუფლება მოხდეს. მაგალითად; ბერძნული ცივილიზაცია ზედმეტად ფოკუსირდებოდა სამყაროზე. ის მიიჩნევდა, რომ ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, უპირობოდ კარგია და, შესაბამისად, ყურადღებასა და შემეცნებას იმსახურებს. ამგვარად, ის აცხადებდა, რომ ყველაფერი, რაც სასურველი იყო და ყურადღების ნამდვილობიერს წარმოადგენდა, *iusto facto* (ფაქტობრივად – მთარგ.) კარგი იყო და ასაბუთებდა, რომ თავად სურვილი კარგი იყო თავისი ბუნებრიობიდან გამომდინარე.

ბუნება ხშირად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, ასე რომ, ასეთი სურვილებისა და ბუნების ელემენტების შეცნობა შესაძლოა ერთმანეთის წინააღმდეგობაშიც მოვიდეს. ბუნების ყველა ტენდენციისა და სურვილის ზემოთ მდგომი ზებუნებრივი პრინციპის საჭიროება, რომლის თვალსაზრისითაც შესაძლებელია მათი წინააღმდეგობებისა და განსხვავებების გაება, უნდა იქნეს აღიარებული. მაგრამ ამ ჭეშმარიტების გააზრების ნაცვლად ბერძნული ცივილიზაცია იმდენად მოწამლული იყო ბუნების სილამაზით, რომ ნატურალიზმის ტრაგიკულ შედეგს განიხილავდნენ, როგორც თავისთავად ბუნებრივს. აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული თანამედროვე დასავლური ცივილიზაციები დიდ პატივს სცემდნენ ტრაგედიას. მათმა მისწრაფებამ ნატურალიზმისკენ მიიყვანა ისინი ბუნების, როგორც ზებუნებრივი პირობის ყოველგვარი ზნეობის გარეშე მიღების უკიდურესობამდე. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ დასავლელი ადამიანი ებრძოდა ეკლესიას და ყველაფერს, რომელსაც ის წარმო-

ადგენს, ადამიანის პროგრესი სამეცნიერო სფეროში იყო ჩათვალისწილი, როგორც მისი მარწუხებისგან გათავისუფლება. შესაბამისად, უკიდურესად რთული იყო სამყაროს დადებითი ბუნების ან ნატურალიზმის წარმოდგენაც კი, როგორც აპრიორი, ნომინალური, აბსოლუტური წყაროდან გამომდინარე ნორმატიული ჯაჭვების თანმხლები. ასეთი ჯაჭვების გარეშე, ნატურალიზმი განწირულია იმისთვის, რომ ენინაალმდეგებოდეს საკუთარ თავს, საკუთარ თავში შექმნას კონფლიქტები, რომელიც ჰიპოთეტიკურად გადაუქრელია. ოლიმპოს თემს არ შეეძლო ერთმანეთთან ჰიპოთეზის ცხოვრება – მას თავი უნდა გაენადგურებინა. მის მიერ სამყაროს მიმღებლობა ფუჭი იყო.



კალიგრაფიული დიზაინი (ალლაპის რვა გამეორება) ლ. ალ ფარუკის სურათი

როსტოკის, დროისა და ისტორიისთვის საზიანო. ასეთი ზნეობით აღჭურვა კი ადამიანისთვის ცნობილ ყველა იდეოლოგიას შორის მხოლოდ თავჭიდს შეუძლია


სამყაროს დადებითი ბუნების გარანტია, რომელიც ხელს უწყობს მას განწინასწორებული, მუდმივი, თვით-მართვადი ცივილიზაციის შექმნაში, არის ზნეობა. სინამდვილეში ჭეშმარიტი ცივილიზაცია სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს მიმღებლობა, რომელიც მოწესრიგებულია ზეპუნებრივის მიერ, ზნეობა, რომლის არსი ან ღირებულებები არ არის ცხოვრებისთვის და სამყაროსთვის, დროისა და ისტორიისთვის, გონიერებისთვის საზიანო. ასეთი ზნეობით აღჭურვა კი ადამიანისთვის ცნობილ ყველა იდეოლოგიას შორის მხოლოდ თავჭიდს შეუძლია

**თავჭირდ როგორც საზოგადოებრიობის პირველი პრინციპი:** თავჭირდი აცხადებს, რომ „შენი ხალხი ერთა-დერთია, ვისი უფალიც ღმერთია. ასე რომ, თაყვანი ეცი და ემსახურე მას“<sup>37</sup>. თავჭირდი გულისხმობს, რომ მორწმუნები სინამდვილეში ერთ საძმოს წარმოადგენენ, რომლის წევრებს ერთმანეთი უყვართ და არიგებენ ერთმანეთს, იყვნენ სამართლიანები და მომთმენი.<sup>38</sup> ისინი უკლებლივ ერთად ეჭიდებიან ალლაჰის [რწმენის] თოქს,<sup>39</sup> ერთმანეთს უგდებენ ყურს, ტკბებიან სიკეთით და გაურბიან ბოროტებას,<sup>40</sup> ვინც ბოლოსდაბოლოს ემორჩილება ალლაჰს და თავის შუამავალს.<sup>41</sup>

ერთიანია უმმას ხედვა, მისი გრძნობა, ნება და ქმედებაც. უმმა იმ ადამიანთა ნაკრებს, თემს წარმოადგენს, რომელიც შედგება გონების, გულისა და მკლავის სამმხრივი შეთანხმებისგან. შეთახმებულია მათი აზროვნება, გადაწყვეტილებები, დამოკიდებულებები და ხასიათი, მათი მკლავები. ეს უნივერსალური ძმობაა, რომელმაც არ იცის კანის ფერი ან ეთნიკური იდენტობა. ამ ხედვით ყველა ადამიანი ერთია, მათი შეფასება მხოლოდ ლვთისმოშიშობის ხარისხით ხდება.<sup>42</sup> თუ უმმას რომელიმე წევრი ახალ ცოდნას შეიძენს, ის მოვალეა, გადასცეს ეს ცოდნა სხვებსაც. თუ რომელიმე მათგანი მოიპოვებს საკვებს ან ნუგეშს – სხვებსაც უნდა გაუზიაროს ისინი. თუკი რომელიმე მიაღწევს მაღალ თანამდებობას, წარმატებასა და კეთილდღეობას, მისი მოვალეობაა, დაეხმაროს სხვებს.<sup>43</sup> ასე რომ, არ არსებობს თავჭირდ უმმას გარეშე. უმმა ცოდნის, ეთიკის, ადამიანის ხალიფობის (დედამიწაზე ღმერთის მოადგილეობა), სამყაროს მიმღებლობის საშუალებაა. უმმა უნივერსალური წესრიგია,

რომელიც არა მორწმუნებსაც მოიცავს. ის მშვიდობის წესრიგია, *Pax Islamica* (ისლამის სამყარო), რომელიც მუდამ ღიაა ყველა იმ ინდივიდისა და ჯგუფისთვის, რომლებისთვისაც მისაღებია ჭეშმარიტებაში დარწმუნების თავისუფლების პრინციპი, რომლებიც ეძიებენ მსოფლიოს ისეთ წესრიგს, რომელშიც იდეებს, ქონებას, სიმდიდრესა და ადამიანის სხეულებს მოძრაობის თავისუფლება გააჩნიათ. *Pax Islamica* საერთაშორისო წესრიგია, რომელიც მოცულობით ბევრად აღემატება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას – წარსულის შვილს, რომელიც იყო დამახინჯებული იმ სახელმწიფოების, ერების პრინციპებითა და „დიდი სახელმწიფოების“ ძალაუფლებით, რომელთაგანაც იგი შედგება. ევროპის იდეოლოგიურ ისტორიაში რეფორმების ეპოქისა და ეკლესიის უნივერსალური თემის იდეალის დალუპვის შემდგომ ეს პრინციპები დაფუძნდა „ეროვნულ სუვერენობაზე“. ეროვნული სუვერენობა ასევე დაფუძნებულია აქსიოლოგიურ და ეთიკურ რელატივიზმზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მაშინ არის წარმატებული, თუ ის წევრებს შორის ომის პრევენციას ან შეჩერებას ახერხებს. თუმცა ამ შემთხვევაში ის უძლურ წესრიგს წარმოადგენს, რადგან მას არ გააჩნია შეიარეღებული ძალები, ვიდრე უშიშროების საბჭოს წევრი „დიდი სახელმწიფოები“ არ მიიღებენ გადაწყვეტილებას მათი საგანგებოდ მიწოდების შესახებ. ამის საპირისპიროდ *Pax Islamica* იყო დაფუძნებული მუდმივი კონსტიტუციით თავად შუამავლის მიერ მედინაში, ჰიჯრას პირველ დღეს. ის შუამავალმა შექმნა ასევე მედინას ებრაელებისა და ნაჯრანის ქრისტიანებისთვის და ამით უზრუნ-

ველუმ მათი იდენტობის, რელიგიური, სოციალური და კულტურული ინსტიტუციების ხელშეუხებლობა. ისტორია არ იცნობს სხვა მსგავს წერილობით კონსტიტუციას, რომელიც პატივს სცემდა უმცირესობებს ისე, როგორც ეს გააკეთა ისლამურმა სახელმწიფომ. მედინას კონსტიტუცია ძალაში იყო სხვადასხვა ისლამურ სახელმწიფოში თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში და ყველა სახის დიქტატორსა და რევოლუციას გაუძლო – მათ შორის ჩინგიზ ხანსა და ჰულაგუს! ასე რომ უმმა სოციალური წესრიგის გარდა მსოფლიო წესრიგიცაა. ის ისლამური ცივილიზაციის საფუძველია, მისი *sine qua non*



სელევკიდების იმპერია


(აუცილებელი პირობა). ჭავა იბნ ააქბანის კარიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისას ფილოსოფო-

სებმა აღმოაჩინეს, რომ ჭავა საკუთარი ძალისხმევით მივიდა ისლამის ჭეშმარიტების, თავჭიდისა და მისი არსის აღმოჩენამდე. ამ პროცესში ჭავამ აღმოაჩინა უმმა. შედეგად მან გაიკეთა კანოე ხის ცარიელი ღეროსგან და გაცურა უცნობ ოკეანეში უმმას აღმოსაჩენად, რომლის გარეშე მთელი მისი ცოდნა ჭეშმარიტებასთან შეუსაბამო იქნებოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, თავჭიდი უმმათიზმია.

**თავჭიდ როგორც ესთეტიკის პირველი პრინციპი:** თავჭიდ ნიშნავს ღმერთის გამორიცხვას ბუნების არეალიდან. ყველაფერი, რაც შეიქმნა ქმნილებაა, არაზებუნებრივია და ექვემდებარება სივრცისა და დროის კანონებს. მათგან ვერცერთი ვერ იქნება ღმერთი ან ღვთაებრივი რაიმე გაგებით, განსაკუთრებით ონტოლოგიური გაგებით, რომელსაც თავჭიდი, როგორც მონოთეიზმის არსი, უარყოფს. ღმერთი სრულიად განსხვავდება ქმნილებებისგან და, შესაბამისად, ის ტრანსცენდენტულია. ის ერთადერთი ტრანსცენდენტული არსებაა. თავჭიდ ამტკიცებს, რომ არაფერია ღმერთის მსგავსი<sup>44</sup> და შესაბამისად ვერცერთი ქმნილება ვერ იქნება ღმერთის მსგავსი ან მისი სიმბოლო, ვერაფერი ვერ წარმოადგენს მას. ფაქტობრივად, განსაზღვრებიდან გამომდინარე, ღმერთი წარმოდგენაზე მაღლა დგას. ღმერთი არის ის, ვინც არ ექვემდებარება ესთეტიკურ ინტუიციას. ესთეტიკურ ინტუიციაში იგულისხმება გრძნობითი გამოცდილება აპრიორი მეტა-ბუნებრივი არსისა, რომელიც მოქმედებს როგორც ხილული ობიექტის ნორმატიული პრინციპი. ეს არის ის, რასაც ობიექტი უნდა წარმოადგენ-

დეს. რაც უფრო ახლოსაა ხილული ობიექტი ამ არსთან, მით უფრო მშვენიერია ის. ცოცხალი ბუნების, მცენარის, ცხოველისა და განსაკუთრებით ადამიანის შემთხვევაში, მშვენიერია ის, რაც უახლოვდება არსს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ისე, რომ ის, ვისაც განსჯა ხელეწიფება, მართალი იქნება მტკიცებისას, რომ ესთეტიკურად ლამაზ ობიექტებში ბუნება თვალნათლივ და მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ თავს, რომ მშვენიერი ობიექტი არის



ასო-სიაქირინის მეჩეთის დახვენილი სამლოცველო დარბაზი კუალა ლუმ-პურში, მალაიზია



პტოლემეების სახელმწიფო

სწორედ ის, რის გამოხატვაც უნდოდა ბუნებას, თუმცა ეს იშვიათად ხდება უამრავი ნაკლის არსებობის ფონზე. ხელოვნება – ბუნების წიაღმი მეტა-ბუნებრივის აღმოჩენისა და მისი ხილული სახით წარმოდგენის პროცესია. ცხადია, რომ ხელოვნება არ არის ქმნილი ბუნების შეზღუდვა, არც *natura naturata*-ს (შექმნილი ბუნება) გრძნობითი წარმოდგენაა ობიექტებისა, რომელთა შემოქმედებითი რეალობა დასრულებულია. ფოტოგრაფიული წარმოდგენა შეიძლება იყოს ღირებული ილუსტრაციისთვის ან დოკუმენტირებისთვის, ან იდენტობის დასადგენად. როგორც ხელოვნების ნიმუშს, მას ღირებულება არ გააჩნია. ხელოვნება – ეს არის ბუნებაში ზებუნებრივი არსის ამოკითხვა და ამ არსისთვის შესაბამისი ხილული სახის



ცისფერი მეჩეთი, სტამბოლი, თურქეთი

მიცემა. როგორც ეს დღემდე იყო განსაზღვრული, ხელოვნება – აუცილებელი დაშვებაა ბუნებაში იმის პოვნისა, რაც არ არის მისი ნაწილი.


ტრანსცენდენტულია ის, რაც არ არის ბუნების ნაწილი, ამ სტატუსს კი მხოლოდ ღვთაებრივი ერგება. უფრო მეტიც, რადგან აპრიორი არსი – ესთეტიკური შეფასების ობიექტი – ნორმატიული და მშვენიერია, ადამიანის ემოციები განსაკუთრებით ექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამიტომაც არის, რომ ადამიანებს უყვართ მშვენიერი და დამოკიდებული ხდებიან მასზე. როცა ისინი ადამიანის ბუნებაში ხედავენ მშვენიერს, ხდება ადამიანობის ტრანსცენდენტულის დონემდე იდეალიზება. სწორედ ამას უწოდებდენ ბერძნები აპოთეოზს – ადამიანის ღმერთში გარდასახვას. ადამიანები განსაკუთრებულად



ჯენეს დიდი მეჩეთი, მალი

მიდრეკილნი არიან, თაყვანი სცენ ასეთ გარდასახულ ადამიანებს და მათ ღმერთებად მიიჩნევენ. თუ ვისაუბრებთ მეტაფიზიკაზე, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დასავლელი ადამიანი ნაკლებად ტოლერანტულია ღვთაებრივის მიმართ. რადგან ჩვენ ვსაუბრობთ ეთიკასა და ქცევაზე, „ღმერთები“, რომლებიც ადამიანმა შექმნა ადამიანური ვნებებისა და მიდრეკილებებისგან, მისი ქმედებების განმსაზღვრებები ხდებიან. ეს ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ იყო ძველი ბერძნებისთვის ღმერთების წარმოდგენა ადამიანური ელემენტების, თვისებებისა თუ ვნებების აპოთეოზი, ვიზუალურად სკულპტურასა თუ წარმოსახვითი სახით პოეზიაში მთავარ ესთეტიკურ საქმიანობას წარმოადგენდა.

ღმერთები, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, იყვნენ მშვენიერნი იმიტომ, რომ ისინი ადამიანური ბუნების იდეალიზაციას წარმოადგენდნენ. მშვენიერება ვერ მალავდა ღმერთებს შორის არსებულ შინაგან კონფლიქტებს სწორედ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი ღვთაებრივ, ზებუნებრივ დონემდე აყვანილი ბუნების რეალურ ობიექტებს წარმოადგენდნენ. მხოლოდ რომში, ბერძნული დეკადანსის ეპოქაში, ბერძნული სკულპტურის უდიდესი



აღმოსავლეთი რომის იმპერია

ხელოვნება გადაგვარდა სხვადასხვა იმპერატორის რეალისტურ, ემპირიულ, პორტრეტულ გამოსახვაში. თუმცა აქაც ეს ვერ გახდებოდა შესაძლებელი იმპერატორების გაღმერთების გარეშე. საბერძნეთში, სადაც ეს თეორია ხელშეუხებელი რჩებოდა საუკუნეების



წმინდა შუაშველის მეჩეთის ინ-ტერიტორია, მედინა

განმავლობაში, დრამატული ხელოვნება სკულპტურის ხელოვნების გვერდიგვერდ ვითარდებოდა სწორედ იმისათვის, რომ გამოეხატა ღმერთებს შორის არსებული კონფლიქტები სხვადასხვა მოვლენისა და პერსონაჟის წარმოჩენის გზით. საბოლოო მიზანი იყო ეჩვენებინათ თითოეული ღმერთის ინდივიდუალური ხასიათი, რომელიც მაყურებლისთვის ცნობილი იყო, როგორც ზედმეტად ადამიანური და ეს ამავდროულად უზარმაზარი ტკბობის წყაროს წარმოადგენდა. თუ მაყურებლის თვალწინ წარმოჩენილ დრამატულ მოვლენებს ტრაგიკული დასასრული ჰქონდა, ეს აღიქმებოდა როგორც აუცილებელი და გარდაუვალი. ამის აუცილებლობა კათარზის გზით ეხმარებოდა მათ იმ დანაშაულის გამოსყიდვა-

ში, რომელსაც ისინი გრძნობდნენ უზნეო მისწრაფებებისა და განაცხადებების გამო. ამიტომაც ტრაგედიის ხელოვნება, რომელიც დაიბადა და სრულყოფილებას მიაღწია საბერძნეთში, ლიტერატურული შემოქმედებისა და ყველა ჰუმანიტარული მეცნიერების მწვერვალს წარმოადგენდა. ორიენტალისტი ჯ.ე. ფონ გრუნებაუმი ჭეშმარიტად აცხადებდა, რომ ისლამს არ გააჩნია სახვითი ხელოვნება (სკულპტურა, მხატვრობა და თეატრი), რადგან ის თავისუფალია ბუნებაში განხორციელებული ღმერთებისგან, რომელთა ქმედებები ერთმანეთთან ან ბოროტებასთან კონფლიქტშია.<sup>45</sup> ფონ გრუნებაუმი ამას ისლამის საყვედურად აუღერებდა, ეს კი რეალობაში ისლამის განსხვავებულობას წარმოადგენს. ისლამი იმით არის დიდებული, რომ ის თავისუფალია კერპთაყვანის-მცემლობისგან, ქმნილების შემოქმედთან შეცდომით აღრვასთან. თუმცა განაცხადი სიმართლედ რჩება, რადგან ის აჩვენებს ახლო ურთიერთობას სახვით ხელოვნებას, ანტიკური ხანის წარმართულ რელიგიებსა და დასავლეთის ინკარნაციულ თეოლოგიებს შორის. უწინ ებრაელები აცხადებდნენ, რომ ღმერთის ტრანსცენდენტობა გამორიცხავდა კერპების შექმნას და იღებდნენ ვალდებულებას, დამორჩილებოდნენ ამ ღვთაებრივ აღთქმას – თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში ისინი შორს იდგნენ სახვითი ხელოვნებისგან.<sup>46</sup> მათ შექმნეს უმნიშვნელო ნამუშევრები მხოლოდ ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის, ასევე ქრისტიანული სამყაროს გავლენის შედეგად. თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით ნაპოლეონის დროს, ემანსიპაციისა და დასავლურ კულტურაში ასიმილაციის შემდეგ მათ დათმეს თავიანთი პირვან-

დელი სემიტური პოზიცია დასავლეთის ნატურალიზმის სასარგებლოდ.

თავჭრდ არ ეწინააღმდეგება მხატვრულ შემოქმედებას, არც მშვენიერებით ტკბობას კრძალავს. პირიქით, თავჭიდი ლოცავს მშვენიერს და უწყობს ხელს მას. ის ხედავს აბსოლუტურ მშვენიერებას მხოლოდ ღმერთში და მის განცხადებულ ნებასა და სიტყვებში. შესაბამისად, უნდა შექმნილიყო ახალი ხელოვნება, რომელიც ამ მოსაზრებას მოერგებოდა. იმ პოსტულატიდან გამომდინარე, რომელიც აცხადებს, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუსლიმი ხელოვანი იყო დარწმუნებული, რომ ბუნებაში ვერაფერი შეძლებდა ღმერთის წარმოდგენას ან გამოხატვას. სტილიზაციის გზით მან ბუნებიდან ყველა შესაძლებელი ობიექტი ამოილო. ბუნებისგან მისი ობიექტის ამოღებამ ის ფაქტობრივად ამოუცნობი გახდა. მის ხელებში სტილიზაცია უარყოფის ინსტრუმენტად იქცა, რომლის გამოყენებითაც მან უთხრა „არა“ ყველა ბუნებრივ საგანს, თავად ქმნილებასაც კი. ბუნებრიობის უარყოფით მუსლიმმა ხელოვანმა ხილული სახით გამოხატა დასკვნა, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა. მუსლიმი ხელოვანის ეს შაჰადა (დამოწმება) ფაქტობრივად ბუნებაში ტრანსცენდენტულის უარყოფის ტოლფასია. მუსლიმი ხელოვანი ამაზე არ ჩერდება. მისი შემოქმედებითი გარღვევა მოხდა მაშინ, როცა ის მიხვდა, რომ ღმერთის გამოსახვა ბუნების ფორმით ერთია, ხოლო მისი წარმოუდგენლობის გამოსახვა ასეთივე ფორმით – სხვა რამეა.

გაცნობიერება იმისა, რომ ღმერთი ხილული სახით გამოხატვას არ ექვემდებარება, ადამიანისთვის უმაღლეს

ესთეტიკურ მიზანს წარმოადგენს. ღმერთი აბსოლუტურია, დიადია. განაცხადი ნებისმიერი ქმნილი არსების მიერ მისი წარმოუდგენლობის შესახებ ღმერთის აბსოლუტობისა და სიდიადის აღიარებას ნიშნავს. გონიერაში მისი წარმოდგენა, როგორც სხვა ყველა არსებისგან განსხვავებულისა, ნიშნავს მის წარმოდგენას როგორც „მშვენიერის – სხვა ყველა მშვენიერი არსებისგან განსხვავებულისა“. ღვთაებრივი წარმოუდგენლობა არის ღვთაებრივი ატრიბუტი, რომლის მნიშვნელობა არის უსასრულობა, აბსოლუტიზმი, ერთადერთობა ან უპირობობა, უსაზღვრობა. უსასრულობა ყველა გაგებით გამოუთქმელია.

ისლამური აზროვნების ამ მიმართულების რეალიზაციის პროცესში მუსლიმმა ხელოვანმა გამოიგონა დეკორაციის ხელოვნება და გარდაქმნა ის „არაბესკაში“, დიზაინში, რომელიც განვითარებას არ ექვემდებარება და ყველა მიმართულებით ვრცელდება უსასრულოდ.



მეჩეთის ლამპარი, ეგვიპტე,  
1360 წ

არაბესკა გარდაქმნის ბუნების იმ ობიექტს, რომლის დეკორიცაა თვითონ – იქნება ეს ქსოვილი, ლითონი, ვაზა, კედელი, ჭერი, ბოძი, ფანჯარა თუ წიგნის გვერდი – ყველა მიმართულებით უსასრულო, უწონო, გამჭვირვალე, მოტივტივე ორნამენტად. ბუნების ობიექტი აღარ წარმოადგენს საკუთარ თავს – ის „გარდაქმნილი სუბსტანციის“ მქონეა, რომელიც ხილული სახით მოგვევლინა.

ესთეტიკურად, ბუნების ობიექტი არაბესკის დამსახურებით იქცა ფანჯარად უსასრულობაში. წარმოვიდგინოთ ის, როგორც უსასრულობის შემომმთავაზებელი, რაც ნიშნავს, აღიარო ტრანსცენდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელობა, მხოლოდ ის ერთი, მართალია ნეგატიურად, მოცემულია გრძნობითი წარმოდგენისა და ინტიუციისთვის. ეს ხსნის იმას, თუ მუსლიმი ხელოვანების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების უმრავლესობა აბსტრაქტული რატომ იყო. მაშინაც კი, როდესაც მცენარეების, ცხოველები და ადამიანების ფიგურები იყო გამოყენებული, ხელოვანი ახდენდა მათ სტილიზაციას იმგვარად, რომ უარეყო მათი ქმნილებითობა, მათში ზებუნებრიობის არსებობა. ამ მცდელობაში მუსლიმ ხელოვანს ეხმარებოდა თავისი ლინგვისტური და ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამავე მიზნით, მან განავითარა არაბული დამწერლობა მისგან უსასრულო არაბესკის მისაღებად, რომელიც გავრცელდებოდა კალიგრაფის მიერ არჩეული ნებისმიერი მიმართულებით. ასევეა მუსლიმი არქიტექტორის შემთხვევაშიც, რომლის შენობაც ასევე არაბესკაა თავისი ფასადით, შემაღლებებით, ფორმით, იატაკის გეგმით. თავპიდი ისლამის მსოფლმხედველობის მქონე ყველა ხელოვანისთვის საერთო მნიშვნელს წარმოადგენს დამოუკიდებლად მათი გეოგრაფიული თუ ეთნიკური განსხვავებისა<sup>47</sup>.

## შენიშვნები

1. იხილეთ ნაშრომში „The Essence of Religious Experience in Islam“ ჩემი პასუხი თრიენტალისტებისთვის, რომლებმაც ეჭვი შეიტანეს იმაში, რომ ისლამს გააჩნია არსი, ღვთაებრივი ძალა, ან რომ ის ცნობილია, ან შეცნობადია, *Numen* 20 (1973), გვ.186-201;
2. ამ საკითხში თავჭიდი განსხვავდება სუფიზმისა და ინდუიზმის ზოგიერთი სექტისგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამყაროს რეალობა შერეულია ღმერთში და ღმერთი სამყაროს ერთადერთ რეალობად, არსებად რჩება. ამ შეხედულების მიხედვით, ღმერთის გარდა არაფერი არსებობს, ყველაფერი ილუზია და მისი არსებობა არარეალურია. თავჭიდი ანალოგიურად ეწინააღმდეგება უძველესი ეგვიპტელების, ბერძნებისა და დაოსისტების შეხედულებებსაც, რომლებიც დაამეტრულად განსხვავდება ინდუისტური შეხედულებებისგან. ამ შეხედულებების მიხედვით, შემოქმედის არსებობა აღრეულია ქმნილების ან სამყაროს არსებობაში. როდესაც ეგვიპტელები აცხადებდნენ, რომ ღმერთი სინამდვილეში ფარაონია, გაზაფხულზე მინიდან ამოსული მწვანე ბალახის ღეროა, მდინარე ნილოსია თავისი წყლითა და ფსკერით, მზის დისკო თავისი სითბოთი და სინათლით, ანტიკური ხანის ბერძნები და რომაელები აცხადებდნენ, რომ ღმერთი ადამიანური ბუნების ან პიროვნების ნებისმიერი ასპექტია განდიდებული ისეთ ხარისხამდე, რომელიც, ერთი მხრივ, აყენებს მას ბუნებაზე მაღლა, მაგრამ მეროვ მხრივ ტოვებს იმანენტურად. ნებისმიერ შემთხვევაში, შემოქმედი აღრეულია საკუთარ ქმნილებაში. სამღვდელოების გავლენით ქრისტიანობა გამოყენ თავჭიდს, როცა განაცხადა, რომ ღმერთი განხორციელდა ქრისტეს სხეულში და ამტკიცებდა, რომ იესო არის ღმერთი. ისლამი უნიკალურად განსხვავებულია იმით, რომ ის ხაზს უსვამს უკიდურეს დუალიზმსა და ღმერთისა და სამყაროს, შემოქმედისა და ქმნილების აბსოლუტურ განსხვავებას. მისი მკაფიო და უკომპრომისო პოზიციის გამო ღვთაებრივ ტრანსცენდენტობასთან დაკავშირებით ისლამი იქცა სემიტური საწინასწარმეტყველო ტრადიციის ქვინთესენციად, ოქროს შუალედად აღმოსავლურ (ინდურ) გაზვიადებას შორის.

3. ეს პრინციპი მიუთითებს ღმერთისა და ადამიანის სრულ ონტოლოგიურ გაყოფაზე, ინკარნაციის, გაღმერთების ან შეერევის გზით მათი გაერთიანების შეუძლებლობაზე. თუმცა პრინციპი არ უარყოფს მათ შორის კომუნიკაციის შესაძლებლობას. ფაქტორივად, ის განუყოფელია წინასწარმეტყველებისგან, ანუ ღმერთის მიერ ადამიანისთვის აღთქმების გამოცხადებისგან, რომლებსაც ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს. ის არც ინტელექტის ან ინტუიციის გზით კომუნიკაციას გამორიცხავს, როგორც მაშინ, როდესაც ადამიანი აკვირდება ქმნილებებს, წონის მათ „სად“ და „რატომ“-ს და მიდის დასკვნამდე, რომ მათ უნდა ჰყავდეთ შემოქმედი, დიზაინერი და მხარდაჭერი, რომელიც იმსახურებს გათვალისწინებას. ეს წარმოსახვის ან განსჯის გზაა. საბოლოო ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ეს ღმერთისა და ადამიანის ონტოლოგიური განცალკევების პრინციპია, რომელიც ასხვავებს თავგვიდს ადამიანის გამაღმერთებელი და ღმერთის გაადამიანების ყველა სხვა თეორიისგან, იქნება ის ბერძნული, რომაული, ინდუისტური, ბუდისტური თუ ქრისტიანული.
4. როგორც აღნიშნულია ყურანიშის 3:191 და 23:116 აიებში.
5. როგორც მოცემულია ყურანის , 7:15; 10:5; 13:9; 15:29; 25:2; 32:9; 38:72; 41:10; 54:49; 65:3; 75:4, 38; 80:19; 82:7; 87:2 — 3 აიებში.
6. ყურანის 17:77; 33:62; 35:43; 48:23; 65:3 აიებში.
7. ნებისმიერი საქმე, რომელიც „ბუნებრივად“ კეთდება, არის ipso facto (მთარგ- ფაქტობრივად) ზნეობრიობის ფარგლებს მიღმა და არც ჯილდოს და არც დასჯას არ იმსახურებს. ამის მაგალითებია: სუნთქვა, საჭმლის მონელება ან იძულებით განხორციელებული ქვემოქმედების, ან უსამართლობის აქტები. ეს სრულიად განსხვავდება თავისუფალი ნებით განხორციელებული ქმედებებისგან, როცა მისი განმახორციელებელი თავისუფალია არჩევანში, გააკეთოს ან არ გააკეთოს ის, ან მის ნაცვლად გააკეთოს სხვა რამ.
8. ეს დამოწმებულია იმ აიებში, რომლებშიც საუბარია ღმერთის ქმნილების სრულყოფილებაზე (იხილეთ ზემოთ მოცემული მე-4 და მე-5 შენიშვნები) და აიებით, რომლებიც ხაზს უსვამენ ადამი-

- ანის მორალურ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას. ასეთი აიები რაოდენობრივად ბევრია.
9. ეს მნიშვნელობა იგულისხმება ყურანის შემდეგ აიებში, რომლებ-შიც საუბარია ადამიანისადმი ქმნილებების მორჩილებაზე, სა-კუთრივ, 13:2; 14:32-33; 16:12, 14; 22:36-37, 65; 29:61; 31:20, 29; 35:13; 38:18; 39:5; 43:13; 45:11-12.
  10. როგორც აღნიშნავს ყურანის საყოველთაო აქცენტი მორალურ ვალდებულებაზე.
  11. დიდია განკითხვის დღის მიმთითებელი აიების რაოდენობა, ამ-დენად არ არის ყველა მათგანის ჩამოთვლის საჭიროება. რამდე-ნიმე მაგალითია: ყოველი ადამიანი აგებს პასუხს (ყურანი, 75:36) ღმერთის წინაშე (ყურანი, 88:26, 4:85).
  12. ღმერთმა აუკრძალა ადამიანს თავის შუამავლებში ეჭვის შეტანა შემდეგ აიებში: 4:156; 6:116, 148; 10:26, 66; 49:12; 53:23, 28.
  13. არაბულ ენაში არ არსებობს ამ ბერძნული ტერმინის შესატყვისი სიტყვა, რომელიც წარმოაჩენდა განსხვავებას ამ ორი ენის უკან მდგომ აზროვნებას შორის. ბერძნული ტერმინი მიმართავს ქრისტიანების მიერ დაცულ ირაციონალურ დოგმას.
  14. ფილოსოფიურებმა გონება გამოაცხადებაზე მაღლა დააყენეს და რელიგიურ საკითხთა განხილვისას მას ანიჭებენ უპირატესობას. რა თქმა უნდა ისინი არასწორნი არიან. მუსლიმ მოაზროვნეს რა თქმა უნდა აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს გონება განსხავა-ებულად და გამოყენოს ეს როგორც ამოსავალი წერიტილის სხვა განსაზღვრებისთვის. შესაძლებელია დასივას კითხვა ამ განსაზ-ღვრებათა სისწორის შესახებ, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ფილოსო-ფიურის სიცოცხლისუნარიანობაში, ან გონივრულობასი და არც მუსლიმური განმარტების უპირატესობაში. აქ მოცემული გან-მარტებას, რომ რაციონალიზმი უარყოფა საბოლოო თვითუარ-ყოფის, აქვს ასევე რელიგიური მამების ტრადიცის გაგრძლებე-ბის ღირებულება.
  15. ამის მტკიცებულება შეიძლება მოიძებნოს აიებში, რომლებიც აკრძალვას ეხება, მაგალითად, 5:90; 7:13; 66:1, ისევე როგორც ყველას მიერ შეთანხმებული უსული (იურიდიული) პრინციპი, რომ „არაფერია აკრძალული გარდა ტექსტისა“. მხედველობაში

- მისალებია ასევე შემდეგი აია: “რამეთუ მან [ღმერთმა] უკვე გან-გიცხადათ, რაც აკრძალა თქვენთვის” (6:119, 153).
16. ყურანის აიები 6:42; 12:109; 13:40; 14:4; 15:9; 16:43; 17:77; 21:7, 25; 23:44; 25:20; 30:47; 37:72; 40:70.
  17. იქვე 4:162; 35:23. “ჩვენ გამოგიგზავნეთ შუამავალი [მუჰამმადი] და განვუცხადეთ მას, რომ არ არის სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა, თაყვანი ეცით და ემსახურეთ მას“.
  18. ყურანი, 30:30.
  19. ყურანი, 94:6.
  20. ყურანი, 49:6.
  21. იხილეთ ქვემოთ თავი 14 [მითითება „The Cultural Atlas of Islam“ ორიგინალურ ნაშრომზე].
  22. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არ განვითარდა მანამ, სანამ არ იყო აღიარებული პრინციპი, რომ ბუნებრივი მოვლენები შეუქცევად კანონებს ემორჩილება. სწორედ ეს წვლილი შეიტანა ისლამმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაში. მტკიცება იმისა, რომ კოსმოსი ღმერთის მიერ განიგება, ხელს უწყობდა სამეცნიერო სულისკვეთების ზრდას. საპირისპირო რწმენა იმისა, რომ ბუნებას არ გააჩნია მუდმივობა, არამედ მასში განხორციელებული ღვთაებების თვითნებური ქმედებების ან მისით მმანიშულირებელი მაგიური ძალების სფეროს წარმოადგენს, სამეცნიერო მიდგომას არ წარმოადგენს.
  23. ისტორიისგან განსხვავებით, რომელიც კონკრეტულ მოვლენას შეისწავლის და თავისი შემადგენელი ნაწილების ინდივიდუალურ ანალიზს ატარებს ურთიერთკავშირის დასადგენად, საბუნების-მეტყველო მეცნიერებები ზოგად სტრუქტურას, მოცემული კლასისთვის ან კლასის ყველა წევრისთვის, ან ყველა კლასისთვის შესაბამის უნივერსალურ კანონს შეისწავლიან.
  24. ეს ჭეშმარიტია სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების-თვის, რომელთა შესწავლის ობიექტია ადამიანის (ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის) ქცევის წარმმართველი კანონების დადგენა.
  25. შემდეგი აიას შესაბამისად: „და მე არ გამიჩნია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის“ (ყურანი- 51:56).

26. ყურანი, 2:30; 6:165; 10:14.
27. ყურანი, 33:72.
28. ყურანი, 15:29; 21:91; 38:72; 66:12.
29. ნეტარი ავგუსტინეს ტერმინის გამოყენება.
30. ყურანი, 11:7; 18:7; 47:31; 67:2.
31. ყურანი 9:95, 106.
32. ყურანი, 99:7-8; 101:6, 11.
33. ყურანი, 11:61
34. ყურანი – 2:57, 172; 5:90; 7:31, 159; 20:81; 67:15; 92:10.
35. როგორც ბრძანა უფალმა: „თუკი გძალებით, გადალახოთ ცათა  
და ქვეყნის საზღვრები, მაშ, წადით! მაგრამ ვერას გასცდებით,  
თუ არა აშეარა ძალაუფლება“. (55:33).
36. ყურანის აია 57:27. ჩვენ ვემორჩილებით ღვთაებრივ აღთქმას:  
„არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე“ (28:77). ღმერთმა ასწავლა  
ადამიანებს, ილოცონ ისე, რომ „მოეცეთ სიკეთე ამქვეყნიურ  
ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც“ (2:201; 7:156). უფრო მეტიც,  
მან დაარწმუნა ადამიანები, რომ იმათ ლოცვას შეისმენდა, „რო-  
მელთაც ჰქმნეს სიკეთე“.
37. ყურანი, 21:92; 23:53.
38. როგორც განიხილავს ასრი (103) ყურანი, 49:10.
39. ყურანი, 3:103
40. ყურანი, 3:110; 5:82; 9:113; 20:54, 128.
41. როგორც ბრძანა ალლაპმა შემდეგ აიებში: 3:32, 132; 4:58; 5:95;  
24:54; 47:33; 64:12.
42. როგორც ნათქვამია ჰადისში, შუამავლის გამოსამშვიდობებელი  
ქადაგებისას მისი უკანასკნელი მოლოცვის დროს. სამმხრივ შე-  
თანხმებაში ჩვენ ვგულისხმობთ ხედვის, გონების ან აზროვნების  
იგივეობას, ნების, გადაწყვეტილების და განზრახვის შეთანხმე-  
ბას, ქმედებისა და ადამიანის მკლავის შეთანხმებას.
43. შუამავალმა შეადარა მუსლიმები კარგად აშენებულ ნაგებობას,  
რომლის ნაწილები ერთმანეთს ამაგრებენ და სხეულს, რომელიც

- მთლიანად რეაგირებს, როდესაც მის რომელიმე ორგანოს უტევენ.
44. ყურანი, 42:11
  45. ამ საკითხზე შემდგომი დეტალებისთვის იხილეთ ისმაილ ალ ფარუკის „Islam and Art“, *Studia Islamica*, 37 (1973), გვ. 81-109
  46. ი.რ. ალ ფარუკი „ რელიგიური ხელოვნების ნიმუშის ბუნების შესახებ“, *Islam and the Modern Age*, 1 (1970), gv. 68-81.
  47. თავშიდის ხელოვნების დარგებთან კავშირის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული თავები [მითითება „The Cultural Atlas of Islam“ ორიგინალურ ნაშრომზე]; და ლუის ლამია ალ-ფარუკის „Aesthetic Experience and the Islamic Arts,“, Islamabad: Hijrah Centenary Committee, 1405/1985.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჭოტიაშვილის №4, ტე: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

„ისმაილ რაჯი ალ-ფარუკი (გარდ. 1986 წ) იყო პალესტინელ-ამერიკელი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, და ავტორიტეტი შედარებით რელიგიითმცოდნეობაში. დიდი თანამედროვე ისლამმცოდნის განსწავლულობა მოიცავდა ისლამური მეცნიერებების სრულ სპექტრს, ისეთ სფეროებს, როგორიცაა რელიგიითმცოდნეობა, ისლამური აზროვნება, სწავლების მიდგომები, ისტორია, კულტურა, განათლება, ინტერრელიგიური დიალოგი, ესთეტიკა, ეთიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა და მეცნიერება. უდავოდ, ისმაილ ალ ფარუკი იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსლიმი მეცნიერი“.

ისლამური ცივილიზაციის არსეს, უდავოდ, ისლამი წარმოადგენს. ასევე უდავოა ის, რომ ისლამის არსი თავპიდში, აღლაპის როგორც ერთადერთი, აბსოლუტური, ტრანსცენდენტული შემოქმედის, უფლისა და ბატონის დადასტურებაში მდგომარეობს. ეს ორი ძირითადი პოსტულატი ცხადზე ცხადია. მათში არასოდეს შეუტანიათ ეჭვი მათ, ვინც ისლამური ცივილიზაციის ნაწილნი არიან ან რამე ფორმით ეხებიან მას. ამ ბოლო წლებში მხოლოდ მისიონერებმა, ორიენტალისტებმა და ისლამის სხვა განმმარტებლებმა შეიტანეს ეჭვი ამ დებულებებში. განათლების დონის მიუხედავად, მუსლიმებს მტკიცედ სჯერათ, რომ ისლამურ ცივილიზაციას გააჩნია არსი და რომ ეს არსი შეცნობადია, ექვემდებარება ანალიზსა და აღწერას, ეს არსი კი თავპიდია. სწორედ თავპიდი ანიჭებს ისლამურ ცივილიზაციას იდენტობას, ერთად კრავს თავის შემადგენელ ნაწილებს და შედეგად ქმნის ერთიან, ორგანულ სხეულს, რომელსაც ჩვენ ცივილიზაციას ვუწოდებთ. ავტორის თანახმად, ღმერთის და სამყაროს განცალკევება გამოარჩევს თავპიდს სხვა თეორიებისგან, რომლებიც აღმერთებს ადამიანს ან განაკაცებს ღმერთს, როგორც არის ბერძნული, რომაული, ჰინდური, ბუდისტური ან ქრისტიანული.